



# ტურიზმის სექტორის მიმოხილვა მაისი 2022

საქართველო | ტურიზმი  
თვიური ანგარიში  
16 ივნისი, 2022


## ძირითადი მაჩვენებლები, მაისი 2022

ტურიზმის აღდგენა მნიშვნელოვნად დაჩქარდა 2022 წლის მაისში, რასაც მოწმობს ყველა ძირითადი ინდიკატორი: ვიზიტორების რაოდენობა, ტურიზმიდან შემოსავლები, Airbnb-ისა და სასტუმროებზე მოთხოვნა.

ვიზიტორების რაოდენობამ 319,796 შეადგინა, რაც 205.3%-იანი წლიური ზრდაა და 2019 წლის დონის 51.7%-ია, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო 2 წელში. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ტურისტების რაოდენობის ზრდით, რომელმაც 2019 წლის დონის 62.3% შეადგინა (წინა თვეში - 52.3%). ერთდღიანი ვიზიტები კვლავ დაბალ ნიშნულზე იყო, თუმცა მცირედით დაჩქარდა და 2019 წლის დონის 28.6% შეადგინა (წინა თვეში - 16.0%), რაც განპირობებულია მეზობელ ქვეყნებთან სასაზღვრო რეგულაციების შემსუბუქებით. ყველაზე მეტი ვიზიტორი თურქეთიდან (ჯამურის 18.8%) შემოვიდა, შემდეგ მოდის რუსეთი (16.1%) და სომხეთი (13.3%). აღსანიშნავია, რომ ისრაელიდან, ყაზახეთიდან, ბელარუსიდან, საუდის არაბეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან და უზბეკეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობამ 2019 წლის დონეს გადააჭარბა.


ტურიზმის შემოსავალმა პოსტ-პანდემიური პერიოდის მაქსიმუმს მიაღწია - 258.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც 3.5-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და 2019 წლის დონის 95.6%-ია (წინა თვეში - 70.6%). აღსანიშნავია, რომ ტურისტული შემოსავლები ასევე მოიცავს მიგრანტების (რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან) დანახარჯებს. ჩვენი ვარაუდით, საქართველოში 80,000-120,000 ვიზიტორი ჩამოვიდა იმაზე ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ] ტურისტები. ტურიზმის შემოსავლების 17.9% მოდიოდა რუსეთზე 2022 წლის მაისში, შემდეგ მოდის ბელარუსი (ჯამურის 11.1%), ევროკავშირის ქვეყნები (9.7%), თურქეთი (9.7%) და უკრაინა (9.4%). ჩვენი საბაზისო სცენარით, 2022 წელს ტურიზმის შემოსავლების 85%-იან აღდგენას ვპროგნოზირებთ 2019 წელთან შედარებით, თუმცა მაისის შემოსავლების და მიგრანტების ეფექტის გათვალისწინებით, სრულ აღდგენასაც არ გამოვრიცხავთ.

გრაფიკი 1: საერთაშორისო ვიზიტორების აღდგენა 2019 წელთან შედარებით



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია  
შენიშვნა: 1) ვიზიტორები რაოდენობა მოიცავს ტურისტულ და ერთდღიან ვიზიტებს.  
შენიშვნა: 2) ტურისტული ვიზიტები მოიცავს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ტოვებენ საანგარიშო თვეში და არ მოიცავს მიგრანტებს.

გრაფიკი 2: ტურიზმის შემოსავლების აღდგენა 2019 წელთან შედარებით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი  
შენიშვნა: მონაცემები მოიცავს მიგრანტების (რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა) დანახარჯებს 2022 წლის მარტიდან.




Airbnb-ზე მოთხოვნა 2022 წლის მაისში გაიზარდა (2019 წლის მაისის დონის 62.5%), რაც ტურიზმის აღდგენის დინამიკას ასახავს, როგორც წინა თვეში. ტურიზმის დაჩქარებამ მიგრანტების ეფექტთან ერთად ქირები გაზარდა, რაც იკვეთება უძრავი ქონების ქირის ინდექსის 67.6%-იან წლიურ ზრდაში (+3.6% თვიურად) 2022 წლის მაისში.

გრაფიკი 3: Airbnb-ის მოთხოვნის ინდექსი თბილისში, იან-18=100



წყარო: Airdna, გალტ & თაგარტის კვლევები


გრაფიკი 4: უძრავი ქონების ქირის ინდექსი თბილისში, იან-16=100



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტის კვლევები


სასტუმროებზე მოთხოვნის აღდგენა ასევე დაჩქარდა 2022 წლის მაისში. პოს ტერმინალებით გადახდები თბილისის საშუალო და დიდ სასტუმროებში აღდგა 2019 წლის დონის 78.6%-მდე, რაც 199.9%-იანი წლიური ზრდაა 2022 წლის მაისში. თბილისის სასტუმროებზე მოთხოვნის დინამიკა ძირითადად განპირობებულია ტურიზმის აღდგენის დინამიკით, რამეთუ მიგრანტები ძირითადად აპარტამენტებს ქირობენ გრძელვადიანი ბინადრობისთვის. სასტუმროს შემოსავლების აღდგენა ასევე ძალიან მაღალი იყო აჭარაში (პოს ტერმინალებით გადახდები აჭარის საშუალო და დიდ სასტუმროებში აღდგა 2019 წლის დონის 167.6%-მდე, რაც 177.9%-იანი წლიური ზრდაა), რაც აიხსნება ტურისტული ნაკადების აღდგენით, რადგან სეზონური მოთხოვნა აჭარაში ჩვეულებრივ დაჩქარებას იწყებს აპრილ-მაისის პერიოდში.

გრაფიკი 5: პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი თბილისის მსხვილ და საშუალო ზომის სასტუმროებში, აპრ-19=100



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ ენდ თაგარტის კვლევები

გრაფიკი 6: პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი აჭარის მსხვილ და საშუალო ზომის სასტუმროებში, აპრ-19=100



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ ენდ თაგარტის კვლევები




## ტურიზმის სექტორი 2022 წლის 5 თვეში


2022 წლის პირველ 5 თვეში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1.0მლნ შეადგინა (+231.3% წ/წ და 2019 წლის დონის 42.0%). წამყვანი ბაზრებიდან ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი თურქეთმა შეიტანა, რასაც მოსდევს რუსეთი და სომხეთი. არამეზობელი ქვეყნებიდან 2019 წელთან შედარებით შესამჩნევი აღდგენა დაფიქსირდა ისრაელიდან (+13.5% 2019 წელთან შედარებით), ყაზახეთიდან (+30.5%), ბელარუსიდან (+128.3%), საუდის არაბეთიდან (+165.3%) და უზბეკეთიდან (+140.5%).

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 840.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (+374.5% წ/წ და 2019 წლის დონის 75.2%) 2022 წლის ხუთ თვეში. ყველაზე მეტი შემოსავალი დაგენერირდა რუსეთიდან (ჯამურის 17.9%), რასაც მოჰყვება ბელარუსი (11.2%), ევროკავშირის ქვეყნები (10.7%), უკრაინა (9.8%), თურქეთი (9.6%) და ისრაელი (9.4%).

გრაფიკი 7: ვიზიტორები (ტურისტები და ერთდღიანი) ტიპის მიხედვით, მლნ ადამიანი



გრაფიკი 8: ტურიზმის შემოსავლები ქვეყნების მიხედვით, 2022 წლის იანვარი-მაისი



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი  
შენიშვნა: მონაცემები მოიცავს მიგრანტების (რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა) დანახარჯებს 2022 წლის მარტიდან.

## ცხრილი 1: ტურიზმის შემოსავლების და ვიზიტორების თვიური დინამიკა

	ოქტ-21	ნოვ-21	დეკ-21	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22	2019	2020	2021
ვიზიტორები, '000 ადამიანი	205.7	166.6	160.8	177.1	151.9	188.4	214.6	319.8	7,725.8	1,513.4	1,721.2
2019 წლის დონის %	30.9%	30.7%	30.1%	40.5%	39.0%	37.1%	39.0%	51.7%		19.6%	22.3%
საიდანაც: ტურისტები, '000 ადამიანი	188.8	151.4	144.6	163.6	137.1	159.2	182.4	264.3	5,080.5	1,087.1	1,577.5
2019 წლის დონის %	43.0%	44.7%	46.3%	53.5%	55.4%	48.5%	52.3%	62.3%		21.4%	31.0%
საიდანაც: ტურისტები, '000 ადამიანი	16.9	15.2	16.2	13.5	14.7	29.2	32.3	55.5	2,645.3	426.3	143.8
2019 წლის დონის %	7.5%	7.4%	7.3%	10.3%	10.4%	16.3%	16.0%	28.6%		16.1%	5.4%
ტურიზმის შემოსავალი, მლნ აშშ დოლარი	142.3	111.0	126.1	114.0	105.2	174.5	188.6	258.6	3,268.7	541.7	1,245.4
2019 წლის დონის %	53.3%	55.0%	58.0%	69.3%	62.2%	71.3%	70.6%	95.6%		16.6%	38.1%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეროვნული ბანკი



**ცხრილი 2: ვიზიტორები (ტურისტი და ერთდღიანი) ქვეყნების მიხედვით, ადამიანი**

	მაი-19	მაი-21	მაი-22	% ზრდა, 2022 vs 2019		5თე19	5თე20	5თე22	% ზრდა, 2022 vs 2019
თურქეთი	71,563	21,855	60,184	-15.9%	თურქეთი	367,818	93,681	199,945	-45.6%
რუსეთი	172,217	10,818	51,561	-70.1%	რუსეთი	539,432	28,880	156,910	-70.9%
სომხეთი	98,572	9,863	42,606	-56.8%	სომხეთი	425,412	33,510	133,796	-68.5%
საქართველო (არარეზიდენტი)	39,753	9,537	24,682	-37.9%	საქართველო (არარეზიდენტი)	193,331	36,523	100,738	-47.9%
ისრაელი	17,084	11,244	18,986	11.1%	ისრაელი	56,422	22,016	64,022	13.5%
უკრაინა	16,864	11,533	15,005	-11.0%	უკრაინა	62,500	22,270	55,630	-11.0%
აზერბაიჯანი	105,962	5,704	12,634	-88.1%	აზერბაიჯანი	497,937	22,305	53,331	-89.3%
ყაზახეთი	7,352	4,664	10,965	49.1%	ყაზახეთი	23,730	8,147	31,028	30.8%
ბელარუსი	4,099	2,349	9,780	138.6%	ბელარუსი	12,994	5,289	29,671	128.3%
საუდის არაბეთი	632	450	8,559	1254.3%	ირანი	48,117	3,378	27,775	-42.3%
ინდოეთი	3,381	1,496	7,452	120.4%	საუდის არაბეთი	7,308	485	19,391	165.3%
ირანი	7,158	1,141	7,356	2.8%	უზბეკეთი	6,917	9,659	16,635	140.5%
უზბეკეთი	1,120	2,528	5,281	371.5%	ინდოეთი	20,267	2,503	16,150	-20.3%
აშშ	8,605	745	3,674	-57.3%	გერმანია	21,805	2,182	11,361	-47.9%
პოლონეთი	9,092	837	3,388	-62.7%	პოლონეთი	20,875	1,238	11,174	-46.5%
სხვები	55,255	9,991	37,683	-31.8%	სხვები	197,105	25,396	124,179	-37.0%
<b>ჯამი</b>	<b>618,709</b>	<b>104,755</b>	<b>319,796</b>	<b>-48.3%</b>	<b>ჯამი</b>	<b>1,883,261</b>	<b>212,707</b>	<b>731,940</b>	<b>-58.0%</b>

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

**ცხრილი 3: შემოსავლების, ვიზიტორების და განთავსების ობიექტების წლიური დინამიკა**

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ტურიზმის შემოსავლები, მლნ აშშ დოლარი</b>	<b>1,936</b>	<b>2,111</b>	<b>2,704</b>	<b>3,222</b>	<b>3,269</b>	<b>542</b>	<b>1,245</b>
%-ად მშპ-სთან	12.9%	13.9%	16.6%	18.3%	18.7%	3.4%	6.4%
<b>საერთაშორისო ვიზიტორები, ადამიანი</b>	<b>5,255,999</b>	<b>5,392,816</b>	<b>6,482,830</b>	<b>7,203,350</b>	<b>7,725,774</b>	<b>1,513,421</b>	<b>1,721,242</b>
<i>ტიპების მიხედვით:</i>							
ტურისტი	3,011,663	3,297,275	4,069,354	4,756,820	5,080,478	1,087,093	1,577,463
ერთდღიანი	2,244,336	2,095,541	2,413,476	2,446,530	2,645,296	426,328	143,779
<i>ქვეყნების მიხედვით:</i>							
თურქეთი	1,074,065	988,312	1,007,276	1,098,555	1,156,513	335,580	326,494
რუსეთი	763,019	849,265	1,135,057	1,404,757	1,471,558	208,677	212,979
სომხეთი	1,191,777	1,152,234	1,287,168	1,268,886	1,365,048	260,965	164,698
საქართველო (არარეზიდენტი)	441,260	429,343	456,132	476,389	488,841	140,351	151,559
უკრაინა	127,344	151,630	169,862	177,058	207,667	42,414	144,901
ისრაელი	55,439	85,398	115,040	156,922	205,051	25,731	100,686
აზერბაიჯანი	1,156,183	1,075,820	1,301,556	1,424,610	1,526,619	295,132	82,718
ყაზახეთი	30,931	40,895	47,241	58,955	103,611	13,779	66,787
სხვა	415,981	619,919	963,498	1,137,218	1,200,866	190,792	470,420
<b>აეროპორტის ჩამოსვლები</b>	<b>737,660</b>	<b>998,762</b>	<b>1,439,689</b>	<b>1,788,417</b>	<b>1,829,341</b>	<b>269,193</b>	<b>877,158</b>
<i>საიდანაც:</i>							
თბილისი	597,907	786,094	1,133,811	1,402,157	1,355,626	202,632	568,149
ქუთაისი	78,900	120,763	193,699	239,251	258,159	19,868	221,853
ბათუმი	60,853	91,905	112,179	147,009	215,556	46,693	87,156
<b>განთავსების ობიექტები</b>	<b>1,383</b>	<b>1,727</b>	<b>1,963</b>	<b>2,390</b>	<b>2,575</b>	<b>2,707</b>	<b>3,105</b>
<b>განთავსების ობიექტები, ოთახები</b>	<b>21,511</b>	<b>24,640</b>	<b>27,907</b>	<b>34,608</b>	<b>38,915</b>	<b>42,214</b>	<b>46,819</b>
<b>განთავსების ობიექტები, საწოლები</b>	<b>51,517</b>	<b>59,236</b>	<b>67,660</b>	<b>85,314</b>	<b>94,438</b>	<b>101,286</b>	<b>112,820</b>

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველოს ეროვნული ბანკი



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული ორენობის ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე ორენობის მფლობელი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო ოქმებთან ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი ორენობის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაველითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტს ან ჯგუფს რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინფლაციის და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირების პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაზარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარა რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, აუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაეცემოდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმები ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ეყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილშინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აწევენ, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმებს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვიზუალური და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

- კვლევების დეპარტამენტის უფროსი**  
ევა ზოჭორიშვილი | [evaboshorishvili@gt.ge](mailto:evaboshorishvili@gt.ge)
- მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების განყოფილების უფროსი**  
ლაშა ქავთარაძე | [lkavtaradze@gt.ge](mailto:lkavtaradze@gt.ge)
- ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | [girémashvili@gt.ge](mailto:girémashvili@gt.ge)
- სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი**  
ბაჩანა შენგელია | [bshengelia@gt.ge](mailto:bshengelia@gt.ge)
- უფროსი ასოცირებული მკვლევარი**  
მარიამ ჩახვაშვილი | [mchakhvashvili@gt.ge](mailto:mchakhvashvili@gt.ge)
- უფროსი ასოცირებული მკვლევარი**  
კახა სამყურაშვილი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge)
- უფროსი ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | [tmamrikishvili@gt.ge](mailto:tmamrikishvili@gt.ge)
- უფროსი ანალიტიკოსი**  
ნინო პერანიძე | [ninoperanidze@gt.ge](mailto:ninoperanidze@gt.ge)
- ანალიტიკოსი**  
ნიკოლოზ ღამბაშიძე | [nikolozghambashidze@gt.ge](mailto:nikolozghambashidze@gt.ge)
- ანალიტიკოსი**  
გიგა ნოზაძე | [gnozadze@gt.ge](mailto:gnozadze@gt.ge)

**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი 0105,  
საქართველო  
**ტელეფონი:** + (995) 32 2401 111  
**ელ-ფოსტა:** [research@gt.ge](mailto:research@gt.ge)